



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი № 30

სხდომის ჩატარების დრო:

24 აპრილი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეათე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, გრ.შუმანია, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, კ.გაბუნია.

სულ: 34 წევრიდან - 22 წევრი.

შენიშვნა: საკრებულოს წევრის, დ.ფხაკაძის გარდაცვალების გამო, ამ დროისათვის საკრებულოს წევრთა რაოდენობა შეადგენდა 34-ს.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გურული, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, ა.კობხრიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 12 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.გობეჯიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი ე.გოგოლაშვილი. მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **გრიგოლ შუშანიას**: „ძალიან კარგია, რომ ამ ბოლო დროს, ქალაქის მერი ესწრება საკრებულოს სხდომებს. მაინტერესებს, რატომ არ არის დღეს. რაიმე ექსპერტიზის ჩასატარებლად, დასაორგანიზებლად, ხომ არ არის წასული? ტელევიზიით მოვისმინე, როდესაც ერთ-ერთმა საჯარო მოხელემ, ლგბტ-ების ექსპერტიზა მოითხოვა და მაინტერესებს, ამის დაფინანსებას ბიუჯეტიდან აპირებენ თუ ხელფასიდან უნდა ჩამოეჭრათ თანამშრომლებს? ეს არის აბსურდამდე მისული კანონი. იმის ნაცვლად, რომ ვიმსჯელოთ ბევრად მნიშვნელოვან საკითხებზე, ამას განვიხილავთ. თურმე მდინარადის გადასაწყვეტი ყოფილა ვინ, სად და როგორ გააჩენს შვილს. ეს უკვე რუსეთიც არაა, ეს არის ჩრდილოეთ კორეა, ირანი, შეიძლება ჩადრებიც შემოიღონ, მაგრამ ჩვენი სარწმუნოება არ უშვებს ამას, თორემ, ამ აბსურდამდეც მივიდოდნენ. მოგიწოდებთ ამ სამოქალაქო დაპირისპირებას და შვილებთან ომს დაანებეთ თავი. საქართველოს მომავალი არის ევროკავშირში და ის, რაც ვერ გააკეთა ჩვენმა თაობამ, გააკეთებენ ჩვენი შვილები და ჩვენ ღირსეულ ადგილს დავიკავებთ ევროპაში, იქ, სადაც არის ჩვენი ღირსეული, ისტორიული ადგილი. ამას შეეწირა თაობები და არავინ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ რუსეთში შეიყვანოთ ეს ქვეყანა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე**: „ბატონო გიგა, მინდა გითხრათ, რომ რუსული საქმე ნაციონალურმა მოძრაობამ რომ გააკეთა, ისე არავის გაუკეთებია საქართველოში. საჯარო მოხელეებში ჩვენ გვყავს ძალიან ღირსეული საქართველოს

მოქალაქეები და თავი დაანებეთ საჯარო მოხელეების ბულინგს. მიხედვით თქვენს პარტიულ ლიდერებს და მათ დალატობრივ საქმიანობებს. მიხვდით, რომ ეს ქვეყანა წავა ევროპისკენ. არ აქვს მნიშვნელობა რომელი ქვეყნის მონა იქნები, მონა არის მონა. საქართველო არასდროს არ იქნება არც ერთი ქვეყნის მონა. ევროპისკენ წავალთ ღირსებით და არა ისე, როგორც თქვენ გინდათ. პატივი ეცით განსხვავებულ აზრს, აღარ არის თქვენი მმართველობის პერიოდი. შემოვიდა დემოკრატიული მმართველობა. ხალხი, რომელ მხარესაც უნდა, იმ მხარეს დადგება, თქვენ ვინ მოგცათ ამის აკრძალვის უფლება. თქვენ დროს რომელი ოპოზიცია ბედავდა იმდენს, რამდენის უფლებაც დღეს თქვენ გაქვთ. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ადამიანების დატერორება. როგორც ნებისმიერ ადამიანს, ისე საჯარო მოხელესაც აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, ამიტომ მოეშვით ლანძღვას. რაც შეეხება ლგბტ პროპაგანდას, უნდა აიკრძალოს და აიკრძალება კიდევ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: „მთელი საქართველო და ჩვენ ყველა, ვთანხმდებით ერთ რამეზე. დიახ, არა რუსულ კანონს და ყველა არაქართულ კანონს და კი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ კანონს, საქართველოში მიღებულს და ორიენტირებულს საქართველოს მოსახლეობაზე. ჩვენ, ბატონო გიგა, ვართ მეგობრები. ოდესმე მითქვამს, რომ დაგეტოვებინათ თქვენი პარტია, გადმოსულიყავით ჩვენთან და ყოფილიყავით ჩვენნაირი? მე გაფასებთ ისეთს, როგორიც ხართ დღეს და შევეშვათ წამხედურობას, ვინმეზე დამსგავსებას. ჩვენ უნდა ვვავდეთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს, ჩვენს წარსულს. თუ წარსულს ხაზს გადავუსვამთ, აღარ გვექნება მომავალი. ჩვენმა გუნდმა ყველაზე მეტი ნაბიჯი გადადგა ევრო ინტეგრაციისკენ. ვიმეგობროთ იმათთან, ვისაც უნდა ჩვენთან მეგობრობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: „საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქის მერი გადადგა, როდესაც საფრანგეთმა მიიღო ლგბტ კანონი და როდესაც მას კანონით ევალებოდა ამ ქორწინების რეგისტრაცია. მისი გალანძღვა არავის აზრად არ მოსვლია. ეს

იყო მისი გადაწყვეტილება და ჩვენც გვაქვს უფლება რაღაც გვჯეროდეს, რაღაც არა და ეს იყოს მისაღები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე**: „თქვენ გინდათ თქვენი წარსულის დავიწყება, მაგრამ საქართველოს ვერც ერთ მოქალაქეს მის იდენტობას, წარსულის სიყვარულს ვერასდროს წაართმევთ. ძალიან გინდოდათ ეს, მაგრამ ვერ ჩამოაყალიბეთ სხვანაირი ქართველი და ამას ვერც ვერასდროს მიიღებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **ლაშა შალამბერიძე**: „აქ მყოფების უმრავლესობა ნამყოფი იქნებით ევროპაში, თუნდაც ტურისტულად და მაინტერესებს, ვინმემ წაგართვათ ქართველობა ან რამე გაიძულათ? გამოგყავთ ისე, რომ ევროპა ცუდია. თვენი დამსახურებით საქართველოს მოსახლეობის 50% უკვე გასულია ქვეყნიდან სამუშაოსთვის და ისინი ძალიან კარგად ხედავენ რა ღირებულებებით ცხოვრობს იქ ხალხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია ნათლად გვიჩვენებს რა გააჩნია ჩვენს ქვეყანას დღეს. 2011-2012 წლიდან აბსოლუტურად ჯანსაღად ჩამოყალიბდა პოზიციები. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ ასოცირების შეთანხმება ევროკავშირიდან, საქართველოს განიხილავდნენ როგორც პარტნიორ ქვეყანას. სამი ქვეყანა იყო მაშინ ჩართული აღმოსავლეთ პარტნიორობაში. მათ შორის ერთი ქვეყანა ამ აღმოსავლეთ პარტნიორობას სრულად ჩამოშორდა. რამხელა სკეპტიკური დამოკიდებულება იყო, მათ შორის ევროპულ ქვეყნებში, ჩვენს პარტნიორებში ჩვენი პერსპექტივის აღიარების მიმართულებით, თქვენ და საზოგადოებამ კარგად იცით. 2014 წელს, ჩვენი ხელისუფლების, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მიიღო საქართველომ ასოცირების შეთანხმება. მიიღო თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარება. ამის იქეთ რამხელა ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს ხელისუფლებას და

მმართველ გუნდს, რომ მთავრობებთან, ევროსტრუქტურებში მოეგვარებინათ ვიზა ლიბერალიზაციის საკითხი. ესეც მივიღეთ სწორი და პრაგმატული პოლიტიკის შედეგად. ევროსაბჭოდან და ევროპის ქვეყნებიდან მივიღეთ აღიარება ჩვენი დასავლური და ევროპული პერსპექტივის. მოგვცეს პერსპექტივა მაშინ, როცა იმ ორი ქვეყნიდან, რომლებსაც მიანიჭეს კანდიდატის სტატუსი, ტექნიკურად და რეგლამენტირებულად ვიყავით ყველაზე წინ. დღესაც, ჩვენ ქვეყანას გააჩნია ძალიან დიდი შანსი, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. საქართველოში, მმართველმა ძალამ პირველად, სახალხო განხილვების შედეგად, კონსტიტუციაში ჩაწერა 78-ე მუხლი და თქვენ მაშინ ამას მხარი არ დაუჭირეთ. ჩვენმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ იმ სწრაფვას, რაც გარანტირებულია 78-ე მუხლით, მხარი არ დაუჭირა და დღეს გვეუბნებიან, რომ ვინმე აკეთებს აქ რუსულ საქმეს. რუსული საქმე იყო 2008 წელს, ომის შემდეგ, რეზოლუციას დაუჭირეთ მხარი, სადაც ჩვენი ქვეყანა პირდაპირ დაადანაშაულებთ ომის დაწყებაში. ასევე, რუსული საქმეა გორში ჩამოგდებული კასეტური ბომბები, რომლებიც გადამალეთ და იუსტიციის სამინისტროს გამამართლებელი განაჩენი რომ გამოეტანა სტრასბურგიდან, ამისთვის ჯართიდან მოუწია მათი ამოღება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: „რუსულია, როდესაც კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს დაარქმევ და გადასცემ რუსეთს, ჰესებს რომ გადასცემ და ტერიტორიებს დაუკანონებ, ეს არის რუსული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „ვთქვი რა არის რუსული საქმე. რუსეთს სტრატეგიული ობიექტები გადასცეს, საქართველო ომის დაწყებაში დაადანაშაულებს და რეზოლუციას ხმა მისცეს, ქვეყნის მთავარ კანონში ევროპულ მისწრაფებებს ხმა არ მისცეს. რას ნიშნავს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს აღიარება ამ მიმართულებით, ყველამ კარგად ვიცით. ეს დარჩება ისტორიას და არ წაიშლება. ჩამოვთვალე: ვიზა ლიბერალიზაცია, ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, ევროპული პერსპექტივა, ეს არის ჩვენი ხელისუფლების გაკეთებული საქმე. რა თქმა უნდა, დიდია აქ საზოგადოების, მოქალაქეების როლიც და ეს ქვეყნის არჩევანია. წინა

საარჩევნო პროგრამაში ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ჩაწერა, რომ ჩვენი ქვეყანა გააკეთებდა განაცხადს ევრო კავშირში შესვლაზე და დღეს ეს ადამიანები გვესაუბრებიან ფასეულობებსა და პოლიტიკის ერთგულებაზე. აღარ გავაგრძელებ რა ჰქონდათ ევროპული, როდის განუხილავთ კონსტიტუციური ცვლილება მოქალაქეებთან, ვის წარუდგინეს კონსტიტუციური ცვლილება, რომელიც შეკერეს და მოირგეს? მართლაც მიიტაცეს ხელისუფლება. დამნაშავეები, გირგვლიანის მკვლელები, რომ შეეწყალებინათ, მთელი სახელმწიფო სისტემა იყო ჩართული, ეს ხომ ევროპის სასამართლომ აღიარა. მესმის განსხვავებული აზრი არსებობს, ზოგს სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა საკითხის მიმართ, მაგრამ ხომ შეიძლება არგუმენტირებულად ვისაუბროთ?!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: „მოსახლეობა გვიყურებს და არ მინდა მათ იფიქრონ, რომ ჩვენ არ გვაქვს რამე სათქმელი, უბრალოდ, ყველას არ შეუძლია პოლემიკაში იმ ფორმით შესვლა, რა ფორმითაც იმართება ეს პოლემიკა. მაინტერესებს, რამდენს აქვს წაკითხული კანონი, რომელსაც აპროტესტებენ. არის სულ 11 მუხლი. 11 მუხლს პირველ კურსზე სასწავლად ვაძლევთ სტუდენტებს. არ არის იმდენი, რომ ვერ დაძლიოს ადამიანმა. 100-დან შეიძლება ერთს ჰქონდეს წაკითხული ან არც ერთს. მოვუწოდებ ყველას და პირველ რიგში, ახალგაზრდებს, რომ ჩაიხედონ კანონში, რომელსაც აპროტესტებენ, დასვან კითხვები არსებობის შემთხვევაში და კომპეტენტური პირები გასცემენ პასუხს. რატომ არის ჩვენს ქვეყანაში სირცხვილი იმის თქმა, რომ მე ვარ ტრადიციული ოჯახიდან, ვარ აღმსარებელი. იმიტომ, რომ სხვა რამაა მოდაში? მე პატივს ვცემ მათ აზრს და არ ვერევი მათ ცხოვრებაში. დამისახელონ 2012 წლამდე ნებისმიერი უნივერსიტეტი, სადაც ოპოზიციონერი ლექტორ-მასწავლებლები ბედავდნენ საპირისპირო აზრის დაფიქსირებას. მე პირადად ვიყავი ამ სივრცის ნაწილი და ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერი კონტროლდებოდა. არის თუ არა დღეს მათი გამოხატვის უფლება დაცული და მათი გამოხატვის თავისუფლება ხელშეუხებელი? არის. ძალიან საამაყოდ ვთვლი, რომ ჩვენ შეგვიძლია ადამიანებს თავიანთი აზრი გამოვახატვინოთ, მაგრამ ეს არ უნდა გადავიდეს შეურაცხყოფაში და სოციალურ სივრცეში ბულინგში. მე ამ ხმაში პოლემიკას არ ვაკადრებ ჩვენ მოსახლეობას. მესმის, რომ ჩვენ არ ვართ იდეალურები,

მაგრამ მივდივართ ამისკენ. გვაქვს შეცდომებიც და ვასწორებთ ამას. მე ვარ ამაყი, რომ ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი. მართალია მინდა, რომ ვიყო უკეთესი, მაგრამ ჯერ ვერ ვარ, ვარ ტრადიციული ოჯახიდან და ჩემს ოჯახს და სანაცნობოს არავიზე არ განუხორციელებია ძალადობა იმის გამო, რომ არის სხვა ორიენტაციის მიმდევარი. ეს არის ჩვენი მონაპოვარი და ვფიქრობ, ეს არის ევროპა, სადაც ჩვენ გვინდა მივიდეთ ღირსეულად და გვქონდეს ჩვენი ადგილი. თქვენ იცით, რომ კანადაში, ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, ძირძველ ევროპულ ქვეყნებში, ღიად გამოხატეს თავიანთი პოზიციები და ისინი არავის დაუბუღებია. ყველას შეიძლება ჰქონდეს თვისი ცხოვრების წესი, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება გარკვეული თემების პროპაგანდა შევზღუდოთ. ის ადამიანები, ვისაც ირანი და რუსეთი არ მოსწონთ, იქედან იღებენ ხელფასს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვერ დამისახელებთ ერთ ფაქტსაც კი, რომ კონკრეტული განმარტებები გამეკეთებინა, თუმცა, დღეს არის განსაკუთრებული შემთხვევა. პირად მაგალითზე შემიძლია მოგახსენოთ. 2005 წელს ვიყავი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი. ნაციონალური მოძრაობის მმართველობა რომ დაიწყო, იქვე ჩანდა რა იყო მათი მიზანი და მოწოდება. ეს იყო ძალაუფლება და ამ ძალაუფლებით ყველა ინსტიტუციების განადგურება და დამორჩილება. პირველი რაც გააკეთეს, ის იყო აკადემიურ ნაწილში შესვლა და მათი ყველაზე დიდი მონაპოვარის, დამოუკიდებლობის წართმევა. პროფესორებს, გამორჩეულ ადამიანებს ხელები გადაუგრიხეს და დამოუკიდებლობა წართვეს უნივერსიტეტებს. რექტორებად აირჩიეს ისეთი ადამიანები, როგორც მათ სურდათ. მაშინ ვიყავი სტუდენტი და ამას ვაპროტესტებდი. მიმა ქურდიანი იყო რექტორობის კანდიდატი, რომელიც საშინელ დღეში ჩააყენეს. რამდენიმე სტუდენტმა გამოვაცხადეთ შიმშილობა. საშინელ დღეში ჩავვაგდეს. ერთადერთს ვაპროტესტებდით, ეს იყო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის საკითხი, რათა აკადემიურ საბჭოს ჰქონოდა საშუალება თავად აერჩია უნივერსიტეტის რექტორი. მერე მიადგნენ სტუდენტურ თვითმმართველობებს და „პოლიტ აქტივი“ ძალადობრივად დაასვეს სტუდენტებს. ამის შემდეგ, ესენი გვესაუბრებიან დემოკრატიულ

ფასეულობებზე. დღეს, ნებისმიერ მოქალაქეს, ნებისმიერ ადამიანს, სტუდენტს შეუძლია თავისი აზრი თავისუფლად გამოხატოს და ამის გამო დუბინკით არავინ დასდევს. გული მწყდება, რომ ესენი გველაპარაკებიან ახლა რაღაც ფასეულობებზე. ბოდიში მოქალაქეებს და საზოგადოებას, რადგან ყველაფერს აქვს ზღვარი და მოთმენა აღარ შეიძლება.“

მ ო ს მ ი ნ ე ს:

**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
30-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2024 წლის 24 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს დაემატა მე-4 და მე-14 საკითხები. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგი გადაინომრა თავიდან), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30-ე სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის № 86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ანტონ ჩიხლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშისწორების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. გარდაცვალების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დარეჯან ფხაკაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (პერიოდი: 2023 წელი - 2024 წლის 1-ლი კვარტალი)

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი

6. გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ელენორა გოგოლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა
და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №32ა-ს დასავლეთით),

პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლოდ, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლოდ, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიბლუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 30-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გურული, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, ა.კობრეიძე, გრ.შუმანია, ლ.შალამბერიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელის მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გურული, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, ა.კოხრიძე, გრ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №96** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-2 საკითხის - „**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ**“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 **დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ანტონ ჩიხლაძემ**.

(დადგენილების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გურული, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, ა.კობხრიძე, გრ.შუმანია, ლ.შალამბერიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის, **ანტონ ჩიხლაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის № 86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება № 97** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-3 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშისწორების წესის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2024 წლის 24 აპრილის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (დადგენილების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ ჩაემატა „ე“ ქვეპუნქტი, ხოლო, 106¹ მუხლის მე-10

პუნქტის შემდეგ - მე-11, მე-12 და მე-14 პუნქტები. გამომდინარე აქედან, პრემიულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 106¹ მუხლის მე-10, მე-11, მე-12 და მე-14 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“; დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მინაწერიდან ამოღებულ იქნა „№1“. გამომდინარე აქედან, აღნიშნული მინაწერი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „(დანართი დადგენილებას თან ერთვის)“; გასწორდა დადგენილების პროექტის დანართის მუხლების გადანომვრაში დაშვებული შეცდომები; დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლოს, ფრაზის: „სარგებლობაში გადაცემის ვადა“, წინ ჩაემატა სიტყვა: „ქონების“ და აღნიშნული ფრაზა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქონების სარგებლობაში გადაცემის ვადა“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა თინათინ ბერიშვილმა.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გურული, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, ა.კოხრიძე, გრ.შუმანია, ლ.შალამბერიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

